ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2347545

ნომერი: AR1346274

თარიღი : 02.10.2015

გაცემის თარიღი : 17.12.2015

გაცნობის თარიღი : 18.12.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა აბუსერიძე-ტბელი N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან კალანდაძე პ/ნ 01010013497
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 221 კორ. 1"ა" ბ. 29

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1346274 განცხადებით მომართა მოქალაქე ამირან კალანდაძემ და მოითხოვა, ქ. თბილისში, აბუსერიძე–ტბელის ქუჩა #15–ში შენობის ნაწილების ლეგალიზება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/დაპროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ებრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან ზემოხსენებულ #AR1346274 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2015 წლის 02 დეკემბრის #2321991 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 10 (ათი) დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა.

ასევე, არ იქნა ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით კვლავ არ დასტურდება, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობა დასრულებულია 2007 წლის 01 იანვრამდე, არქიტექტურულ პროექტში არ იქნა საკადასტრო საზღვრები დაფიქსირებული არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესაბამისად, პროექტის II სართულის გეგმაზე გამორჩენილია კიბე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, #AR1346274 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

## ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე ამირან კალანდაძის განცხადება;

---

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.